

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს 2020-2023 წლების  
სტრატეგიული გეგმა

თბილისი

2019

# სარჩევი

ნაწილი I: შესავალი.....	3
სააგენტოს შესახებ, მისია და სტრატეგიული ხედვა.....	3
სააგენტოს სტრუქტურა და მართვა.....	3
ნაწილი II: საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მიმოხილვა.....	5
დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.....	5
სისტემის წევრი ბანკები.....	6
საბანკო სექტორის მიმოხილვა.....	7
დეპოზიტები.....	7
დეპოზიტების დაზღვევის ფონდი.....	8
ნაწილი III: სტრატეგიული გეგმა 2020 – 2023 წლებისთვის.....	9
სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი.....	9
სტრატეგიული მიზნები.....	10
მიზანი 1: სააგენტოს არსებული ფუნქციების გაძლიერება.....	11
არსებული ვითარება.....	11
ამოცანები და აქტივობები.....	12
მიზანი 2: ევროდირექტივის მოთხოვნებთან დაახლოება.....	14
არსებული ვითარება.....	14
ამოცანები და აქტივობები.....	15
მიზანი 3: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება.....	16
არსებული ვითარება.....	17
ამოცანები და აქტივობები.....	17
მიზანი 4: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.....	18
არსებული ვითარება.....	19
ამოცანები და აქტივობები.....	19

# ნაწილი I: შესავალი

## სააგენტოს შესახებ, მისია და სტრატეგიული ხედვა


დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო საქართველოში 2017 წელს დაარსდა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების მიზნით. სააგენტოს ძირითადი მისიაა, მცირე ადმინისტრაციული რესურსით და ეფექტიანი მართვით, უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საჯარო პოლიტიკის ისეთი მიზნებით, როგორებიცაა ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, დეპოზიტორების დაცვა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისის პრევენცია. სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი სისტემის დაახლოებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითად პრინციპებსა და ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.


წინამდებარე სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სააგენტოს ხედვას უახლოესი 3 წლისთვის. მასში ჩამოყალიბებულია ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ძირითადი მიზნები და მათ შესასრულებლად საჭირო ამოცანები და აქტივობები, რომელთა განხორციელებით, სააგენტო, საკუთარი მანდატის ფარგლებში უზრუნველყოფს დაარსებიდან დღემდე შექმნილი სისტემის საფუძვლის გამყარებას, შემდგომ გაძლიერებას და განვითარებას.

## სააგენტოს სტრუქტურა და მართვა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფროსის ჩათვლით შტატით გათვალისწინებული 5 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული, მათ შორის ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი, იურისტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. სააგენტოს ასევე ჰყავს ხელშეკრულებით დასაქმებული შესყიდვების და ფინანსური მენეჯერები, ბიზნეს ანალიტიკოსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტი.



სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას უწევს საბჭო. მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელთაც საბჭოს როტაციის პრინციპით 1 წლის ვადით ხელმძღვანელობენ. საბჭოში წარმოდგენილია კანონის საფუძველზე კომერციული ბანკების მიერ არჩეული 2 დამოუკიდებელი წევრი.




# ნაწილი II: საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მიმოხილვა

## დეპოზიტების დაზღვევის სისტემა

დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება ანაზღაურების პრობლემა.

დეპოზიტების დაზღვევა პრუდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია.



დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 146 ქვეყანაში. ის უზრუნველყოფს, როგორც თითოეული დეპოზიტორის დაცულობას, ისე მთლიანად ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ნებისმიერ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მასობრივი მღელვარების და პრობლემის სხვა ბანკებზე გადაცემის რისკების შერბილებაა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამაღლებს საზოგადოებრივ ნდობას საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს დანაზოგების ზრდას.

საქართველოში სისტემის შემოღება გათვალისწინებული იყო, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა დაინერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და რეგულირდება 2017 წლის 17 მაისს მიღებული საქართველოს კანონით „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ .

## სისტემის წევრი ბანკები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებისას (2018 წლის 1 იანვარი) საქართველოში 16 კომერციული ბანკი ოპერირებდა. გავლილი პერიოდის განმავლობაში სისტემას ერთი კომერციული ბანკი გამოეთიშა და 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია 15 კომერციული ბანკი (ცხრილი #1).

ცხრილი #1: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრი ბანკები, 2019 წლის დეკემბერი

#	კომერციული ბანკი
1	სს "ბანკი ქართუ "
2	სს "ბაზისბანკი"
3	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
4	სს "ზირაათ ბანკი საქართველო"
5	სს "თიბისი ბანკი"
6	სს "იშბანკი საქართველო"
7	სს "კრედიტ ბანკი"
8	სს "ლიბერთი ბანკი"
9	სს "პაშა ბანკი საქართველო "
10	სს "პროკრედიტ ბანკი"
11	სს "საქართველოს ბანკი"
12	სს "სილქ როუდ ბანკი"
13	სს "ტერაბანკი"
14	სს "ფინკა ბანკი საქართველო"
15	სს "ხალიკ ბანკი საქართველო"

## საბანკო სექტორის მიმოხილვა

საქართველოს ფინანსური სისტემა მდგრადი და სტაბილურია. საბანკო სისტემა მაღალკაპიტალიზებული, ლიკვიდური და მომგებიანია. 2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოში 15 კომერციული ბანკია. მათგან ყველაზე მსხვილი ორი ბანკი, რომელთა მთლიანი აქტივები სისტემის 74,4%-ს შეადგენს, ლონდონის საფონდო ბირჟაზე არის წარმოდგენილი. საბანკო სისტემა ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, რაც ხელს უწყობს სექტორის სტაბილურობას. არსებული მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 19,2%-ს შეადგენს. პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს კაპიტალის ზრდის რესურსი როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით.

საბანკო სექტორის სტაბილურობაზე სასესხო პორტფელის მდგომარეობაც მიუთითებს - მთლიანი სესხები 30.75 მილიარდ ლარს შეადგენს (2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით), საიდანაც უმოქმედო სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციით 5,2%, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით - 2,69%-ია.

2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სისტემის მასშტაბით ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 22,32%-ს შეადგენს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 39,37%-ის დასაფარად. არასაბანკო დეპოზიტები 26,3 მილიარდ ლარს აღწევს, საიდანაც ფიზიკური და იურიდიული პირების წილი შესაბამისად 56% და 44%-ია. ვადიანობის მიხედვით, მიმდინარე, მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების წილი 31%, 26% და 43%-ს შეადგენს შესაბამისად. აქედან მიმდინარე დეპოზიტებში მნიშვნელოვანი წილი უკავია საოპერაციო ხასიათის მიმდინარე ანგარიშებს, რომელიც სტაბილური დაფინანსების წყაროდ ითვლება. სისტემის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 39%-ს შეადგენს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულებების სტრუქტურის შესაბამის ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ დონეს.

კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაცია. პრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ლარიზაციის შემდგომ ზრდას, თუმცა სესხებსა და დეპოზიტებში უცხოური ვალუტის წილი 60%-ს აჭარბებს (2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით დეპოზიტების 64% და სესხების 55%), რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ზრდის საკრედიტო და იმ მსესხებლების გადახდისუნარიანობის რისკებს, რომელთაც შემოსავალი ლარში აქვთ.

## დეპოზიტები

საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი, კანონის შესაბამისად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია.

2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 102 642 710 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 813 446 008 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 887 325 406 ლარია.

2018 წლის იანვრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით მთლიანი დეპოზიტები 41%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 42%-ით, ხოლო მათ შორის დაზღვეული დეპოზიტები 27%-ით გაიზარდა.

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2019 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 17.49%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 21.50%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 15.18%-ით გაიზარდა (ცხრილი #2).

*ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი*

	ოქტ.18	ოქტ.19
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა</b>	23,07	27,10
კვარტალური ცვლილება, %	-	17,49
<b>ფიზიკური პირის დეპოზიტები</b>	12,19	14,81
კვარტალური ცვლილება, %	-	21,50
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	1,64	1,89
კვარტალური ცვლილება, %	-	15,18

2019 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 12,73%. დაზღვეული დეპოზიტების 62% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 38% - უცხოურ ვალუტაში.

## დეპოზიტების დაზღვევის ფონდი

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ძირითადი წყაროა სისტემის წევრი კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული პირველადი და რეგულარული სადაზღვევო შენატანები და ასევე ინვესტიციებიდან კუპონის სახით მიღებული შემოსავალი. რეგულარული სადაზღვევო შენატანის გადახდის ვალდებულება ბანკებს ყოველთვიურად ეკისრებათ. 2017 წლის დეკემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით დეპოზიტების დაზღვევის ფონდში პირველადი შენატანის სახით 1,600,000 ლარი, რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით - 30,631,059 ლარი, ხოლო კუპონის სახით 1,891,223 ლარი აკუმულირდა (ცხრილი #3).

*ცხრილი #3: დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები, 12/2017-12/2019*

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	კუპონი	სულ
2017	1 600 000	0	0	1 600 000
2018	0	13 843 674	349 391	14 193 065
2019	0	16 787 385	1 541 832	18 329 217
<b>სულ</b>	<b>1 600 000</b>	<b>30 631 059</b>	<b>1 891 223</b>	<b>34 122 282</b>



„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ამ დროისთვის ზღვრის ოდენობა 5 000 ლარს შეადგენს. ეს არის თანხის ის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღებს დაზღვეული დეპოზიტორი. 2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, მიმდინარე ზღვრის ფარგლებში სრულად დაზღვეულია დეპოზიტორების (ფიზიკური პირები) 96% და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობის - 12.73%. დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ანაზღაურებისუნარიანობა 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 1.75%-ია<sup>1</sup>. არსებული რესურსი საკმარისია იმისთვის, რომ ფონდმა ანაზღაუროს ცალ-ცალკე ბოლოდან 11 ნებისმიერი არასისტემური კომერციული ბანკი, ხოლო ერთდროულად ბოლოდან 6.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზღვარი სწორად იყოს განსაზღვრული და ქმნიდეს დაცვის ადეკვატურ გარანტიას. კანონის შესაბამისად, სააგენტო რეგულარულად განიხილავს ზღვრის მიმდინარე მაჩვენებლის ბაზრის ტენდენციებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის საკითხს. აღნიშნული ანალიზი ჩატარდა 2019 წლის განმავლობაში და ბაზრის მიმდინარე დინამიკის, ტენდენციების, მოლოდინების და შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 15 000 ლარი იქნება ზღვრის ის ოპტიმალური მაჩვენებელი, რომელიც უპასუხებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოცანებს. გადაწყვეტილება განიხილა სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ და მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარებულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება 2020 წლის 1 ივლისიდან ზღვრის 15 000 ლარამდე გაზრდის შესახებ. სააგენტომ, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, რეკომენდაციის სახით სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინა ზღვრის რეგულარული, 3 წელიწადში ერთხელ გადახედვის გეგმა. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს როგორც ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების, ისე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებიდან. 3 წლიანი ვადა პირობითია და ზღვრის გადახედვის აუცილებლობა შესაძლოა კონკრეტულ გარემოებებს და ბაზრის მოთხოვნებს უკავშირდებოდეს.

ფართოვდება დეპოზიტების დაზღვევის არეალი და სისტემას ემატება იურიდიული პირების დეპოზიტები.

## ნაწილი III: სტრატეგიული გეგმა 2020 – 2023 წლებისთვის

### სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

დაარსებიდან დღემდე დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო მმართველობის სტრუქტურისა და ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული. განვითარების ამ ეტაპზე, დადგა პერსპექტივის დანახვის და საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2020-2023 წლები) სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბების

<sup>1</sup> აღნიშნული მოიცავს 2019 წლის ნოემბრისთვის ანგარიშგებების მონაცემებს და ფონდის/სააგენტოს ანგარიშზე არსებულ მონაცემებს 17 დეკემბრის მდგომარეობით.

აუცილებლობა. სააგენტოს აქვს შესაძლებლობა გაიზიაროს დეპოზიტების დაზღვევის უახლესი საერთაშორისო და ევროპული ტენდენციები, ისარგებლოს საუკეთესო პრაქტიკით და უზრუნველყოს მათთან შესაბამისობა.

სტრატეგიული გეგმით სააგენტომ უნდა განსაზღვროს თავისი სამომავლო საქმიანობის მიმართულება და ის ფუნქციები, რომელიც მან, კანონით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში, როგორც ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთმა კონტრიბუტორმა უნდა განახორციელოს. წინამდებარე დოკუმენტი არა მხოლოდ პასუხობს კითხვას, თუ სად ხედავს სააგენტო თავს საშუალოვადიან პერიოდში, არამედ აყალიბებს შესაბამის მიზნებს და მათ მისაღწევად კონკრეტულ ამოცანებსა და აქტივობებს განსაზღვრული პერიოდისთვის.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიზანია ჩამოყალიბდეს თანამედროვე და ეფექტიანად საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მსგავსი ტიპის უწყებებისთვის ერთგვარი წარმატებული მოდელი იქნება.

თავისი მანდატის განხორციელებისას სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) მიერ დადგენილი დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო სტანდარტებით და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითადი პრინციპებით (IADI, “Core Principles for Effective DIS”). სააგენტო ასევე მიზნად ისახავს გაზარდოს შესაბამისობა დეპოზიტების დაზღვევის სქემებთან დაკავშირებულ ევროდირექტივასთან (EU DGSD 49/2014), რისი ვალდებულებაც გამომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კომუნიკაცია სისტემის დაინტერესებულ მხარეებთან - მათ შორის საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, ხოლო საბოლოო დოკუმენტი განიხილა და შეითანხმა სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ.

## სტრატეგიული მიზნები

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს განვითარების, მის მიერ დასახული მისიისა და ხედვების მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი 4 ძირითადი სტრატეგიული მიზანი:

**მიზანი 1: არსებული ფუნქციების გაძლიერება;**

**მიზანი 2: ევროდირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაახლოება;**

**მიზანი 3: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება;**

**მიზანი 4: სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.**

## მიზანი 1: სააგენტოს არსებული ფუნქციების გაძლიერება

განასხვავებენ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის 4 მანდატს, რომელთაგან ყველაზე ვიწრო - მარტივი ანგარიშსწორების სისტემა - გულისხმობს სისტემის ისეთ მოდელს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დეპოზიტორებისთვის კუთვნილი დაზღვეული თანხების ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად მოკლე ვადებში, მაშინ, როდესაც კომერციული ბანკი ვეღარ ახერხებს დეპოზიტების ანაზღაურებას. მარტივი ანგარიშსწორების სისტემა პლუს (Pay-box Plus) მანდატის შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციები ფართოვდება საბანკო რეზოლუციის პროცესში სისტემის მიერ აკუმულირებული სახსრების გამოყენების კუთხით, ევროდირექტივით განსაზღვრული გემის შესაბამისად. დანაკარგების მინიმიზაციის (Loss-minimizing) მანდატი გულისხმობს სისტემის უფლებას შეარჩიოს ყველაზე ნაკლებად ხარჯიანი რეზოლუციის მეთოდი, ხოლო რისკების მინიმიზაციის (Risk-minimizing) მანდატის შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემას, სარეზოლუციო მანდატთან ერთად, ზედამხედველობის გარკვეული უფლებებიც ენიჭება.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი მანდატი აქვს დეპოზიტების დაზღვევის სისტემას, დეპოზიტორთა სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურება, ყოველთვის რჩება მის პირველ და უმთავრეს ფუნქციად, რაც თავის მხრივ გულისხმობს სადაზღვევო შემთხვევისთვის მზადების უწყვეტ პროცესს ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების გაძლიერების კუთხით.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაცია სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ანაზღაურების განხორციელებამდე ოპტიმალურ ვადად 7 დღეს მიიჩნევენ. ანალოგიური ვადა არის დადგენილი ევროდირექტივითაც. ამდენად, მსოფლიოს მასშტაბით სისტემები ცდილობენ ანაზღაურების ვადის მაქსიმალურად შემცირებას.

ტექნიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საგანგებო კომპიუტერული პროგრამის - მართვის საინფორმაციო სისტემის არსებობა - რომლის უნიკალური კოდი და შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სისტემის თავისებურებებს. სამართლებრივ და ტექნიკურ მხარეებთან ერთად, სწრაფი ანაზღაურებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსი, სააგენტოს ორგანიზაციული გამართულობა და კვალიფიციური კადრები.

## არსებული ვითარება

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობა რეგულირდება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე, კანონქვემდებარე აქტების და შიდა ინსტრუქციების შესაბამისად. კანონის თანახმად, სააგენტომ დეპოზიტორების ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 20 კალენდარულ დღეში უნდა უზრუნველყოს. თუმცა კანონის ჩანაწერი არ ზღუდავს ანაზღაურების პროცესის

უფრო ხანმოკლე ვადაში დაწყებას. ამდენად, ანაზღაურების ვადის შემცირების და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების სამართლებრივი წინააღმდეგობა არ არსებობს.

ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის უზრუნველყოფის ძირითად კომპონენტებზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. სააგენტოს მიერ შემუშავებულია ანაზღაურების კონცეფცია, რომელიც პროცესის ზოგად ჩარჩოს აყალიბებს. შემუშავებულია „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის ინსტრუქციის“ პროექტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცდება სააგენტოს უფროსის ბრძანებით. სააგენტოს დაკვეთით მზადდება მართვის საინფორმაციო სისტემა - კომპიუტერული პროგრამა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ასანაზღაურებელი თანხების გამოთვლა, რაც სწრაფი და ეფექტიანი ანაზღაურების პროცესის აუცილებელი პირობაა.

პროცესის მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებიან სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებას და სტუმრობენ მეზობელ ქვეყნებს, ანაზღაურების კუთხით ინფორმაციის მისაღებად, გამოცდილების გასაზიარებლად და უახლესი ტენდენციების გასაცნობად.

დეპოზიტების დაზღვევის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლიდან დაზღვევის არეალი ფართოვდება და მასში ფიზიკურ პირებთან ერთად, იურიდიული პირებიც ჩაერთვებიან. ამასთან, იზრდება სადაზღვევო ზღვარიც 5 000-დან 15 000 ლარამდე. აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად, სააგენტოს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ზღვრის გაზრდა და სადაზღვევო არეალის გაფართოება, გამოიწვევს ცვლილებებს მართვის საინფორმაციო სისტემასა და ანაზღაურების პროცესთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში.

სააგენტომ უნდა დაამტკიცოს კანონით გათვალისწინებული კრიზისების მართვის პოლიტიკა, ასევე, შეიმუშაოს რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო შენატანის დაანგარიშების მეთოდოლოგია.

## ამოცანები და აქტივობები

არსებული ფუნქციების გაძლიერების მიზნით, განისაზღვრა ორი ძირითადი ამოცანა:

- 1) ეფექტიანი ანაზღაურებისთვის საოპერაციო მზადყოფნის გაძლიერება;
- 2) კანონის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა.

პირველი მიზნის ამოცანები და აქტივობები ჩამოყალიბებულია ცხრილში:

*მიზანი 1: არსებული ფუნქციების გაძლიერება*

ამოცანები	აქტივობები	ვადა
ეფექტიანი ანაზღაურებისთვის	• მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება;	2020
	• ანაზღაურების ინსტრუქციის დამტკიცება;	2020

საოპერაციო მზადყოფნის გაძლიერება	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის საპილოტე ტესტირება;</li> <li>• მართვის საინფორმაციო სისტემის დანერგვა;</li> <li>• აგენტი ბანკების წინასწარი შერჩევა;</li> <li>• აგენტი ბანკისთვის ტრენინგის ჩატარება;</li> <li>• ყოველწლიური სიმულაციური ტესტის ჩატარება;</li> <li>• სააგენტოს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობათა გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები;</li> <li>• საშტატო ნუსხით გაუთვალისწინებელი აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფა.</li> </ul>	<p>2020</p> <p>2020</p> <p>2021</p> <p>2021</p> <p>2021-2023</p> <p>2020- 2023</p> <p>2020-2023</p>
კანონის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კრიზისების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და დანერგვა;</li> <li>• შიდა აუდიტის განხორციელება;</li> <li>• რისკზე დაფუძნებული სადაზღვევო შენატანის მეთოდოლოგიის შექმნა.</li> </ul>	<p>2020</p> <p>2020-2023</p> <p>2023</p>

ელექტრონულ პროგრამაზე მუშაობის დასრულება 2020 წლის პირველ კვარტალში იგეგმება. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, სააგენტო გეგმავს დეველოპერულ კომპანიასთან განაახლოს კონტრაქტი შესაბამისი პროგრამული ცვლილებების განსახორციელებლად.

პროგრამაზე მუშაობის პროცესში, მის საბოლოო გაშვებამდე, დაგეგმილია საპილოტე ტესტირებისთვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც მართვის საინფორმაციო სისტემა გაივლის სიმულაციურ გამოცდას კომერციული ბანკებიდან მიღებული რეალური მონაცემების საფუძველზე. ტესტირებაში მონაწილეობას მიიღებენ სააგენტოს ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები (მსოფლიო ბანკი).

პროგრამაზე მუშაობის დასრულებასთან ერთად, დამტკიცდება ანაზღაურების ინსტრუქცია. შემუშავდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოში ფუნქციონირება ზუსტი განაწილების გეგმა და განისაზღვრება ხელშეკრულებით დასაქმების საჭიროებები.

სააგენტო ჩაატარებს ყოველწლიურ სიმულაციურ ტესტს ანაზღაურების პროცესის გამართულობის შესაფასებლად, ასევე ჩატარდება რეგულარული ტრენინგები როგორც პარტნიორებისთვის, ისე სააგენტოს თანამშრომლებისთვის.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაცია და ევროდირექტივა რეკომენდაციას უწევენ კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი შენატანების რისკზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით გამოთვლას. საქართველოს კანონი აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავებას ასევე, ითვალისწინებს 2020 წლიდან. სააგენტო გეგმავს, მათ შორის საერთაშორისო რეკომენდაციის გათვალისწინებით, აღნიშნული ვადა 2023 წლამდე გაახანგრძლივოს.

## მიზანი 2: ევროდირექტივის მოთხოვნებთან დაახლოება

დეპოზიტების დაზღვევის სქემებთან დაკავშირებული პირველი დირექტივა 1994 წელს შემუშავდა და ის მინიმალურ ჰარმონიზაციას ითვალისწინებდა. წლებთან ერთად დირექტივა მნიშვნელოვნად განახლდა ევროპული შიდა ბაზრის მზარდი ინტეგრაციის პირობებში. ევროპის პარლამენტმა და საბჭომ განახლებული დირექტივა 2014 წელს მიიღო. ბაზრის ჩავარდნების აღმოფხვრის და შიდა ბაზრების დაახლოების მიზნით, განახლებული დირექტივა სრული ჰარმონიზაციის პრინციპს ეფუძნება კავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის.

კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულები არიან დირექტივის მოთხოვნები ასახონ საკუთარ კანონმდებლობაში. კავშირში არსებული ნებისმიერი საკრედიტო ინსტიტუტი უნდა იყოს დეპოზიტების დაზღვევის სქემის წევრი. ასევე, უნივერსალურია 100 000 ევროიანი ზღვარი ყველა დეპოზიტორისთვის - მათი ეროვნების, მოქალაქეობის და იმ ვალუტის მიუხედავად, რომელშიც დეპოზიტია განთავსებული. დირექტივის თანახმად, დაზღვევის სისტემამ, შემთხვევის დადგომისას, უნდა უზრუნველყოს ანაზღაურება მაქსიმალურად მოკლე ვადაში - 7 სამუშაო დღის ფარგლებში.

ევროდირექტივა ადგენს როგორც ასანაზღაურებელი, ისე დაუზღვეველი დეპოზიტების განსაზღვრის სრულ კრიტერიუმებს. ნებისმიერმა წევრმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ვალდებულებების პროპორციული ფინანსური რესურსის მობილიზება. დეპოზიტების დაზღვევის ფონდების დაფინანსების და გამოყენების წესები ასევე, მკაცრად არის განსაზღვრული დირექტივით.

კავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ ზღვრის მინიმალური მიზნობრივი ოდენობა. სავალდებულოა, რომ კომერციული ბანკებისთვის დაწესებული გადასახადი ეფუძნებოდეს რისკზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას.

სისტემას უნდა ჰქონდეს მყარი მმართველობითი პრაქტიკა და უზრუნველყოს სადაზღვევო ზღვრის თაობაზე დეპოზიტორების ინფორმირება სტანდარტიზებული გზით.

## არსებული ვითარება

2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“

შეთანხმებას, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. ხელშეკრულების ფარგლებში დაფუძნებული ასოცირების საბჭო მეთვალყურეობას უწევს შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესს და განხორციელებული აქტივობების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად არსებობს ვალდებულებების შესრულების კონკრეტული გეგმა. საქართველო იღებს ვალდებულებას შეთანხმებით გათვალისწინებული მიმართულებებით საკუთარი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროდირექტივებს.

საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ ეფუძნება ევროკავშირის დეპოზიტების დაზღვევის სქემების შესახებ დირექტივის (EU DGSD) ძირითად პრინციპებს, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები. მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული განსხვავებების მაქსიმალურად შემცირების და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით.

### ამოცანები და აქტივობები

საქართველოს კანონის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ ევროდირექტივის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით შემდეგი სამი ამოცანა გამოვლინდა:

- 1) ევროდირექტივასა და საქართველოს კანონს შორის განსხვავებათა ანალიზის ჩატარება;
- 2) შესაბამისობის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- 3) შესაბამისობის გეგმის შესრულება.

მიზანი 2: საქართველოს კანონის შესაბამისობა ევროდირექტივის მოთხოვნებთან

ამოცანები	აქტივობები	ვადა
ევროდირექტივასა და საქართველოს კანონს შორის განსხვავებათა ანალიზის ჩატარება	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსხვავებათა ანალიზის შემუშავება;</li> <li>• ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკის გადაწყვეტილებების ჩამონათვალის შემუშავება.</li> </ul>	2020 2020
შესაბამისობის სამოქმედო გეგმის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისობის სამოქმედო გეგმის მომზადება;</li> <li>• გეგმის წარდგენა და განხილვა შესაბამის უწყებებთან;</li> <li>• გეგმის დამტკიცება.</li> </ul>	2020 2020 2020

შესაბამისობის გეგმის შესრულება	• გეგმის შესასრულებლად საჭირო ამოცანების განსაზღვრა;	2021
	• ამოცანების განხორციელების ვადების განსაზღვრა;	2021
	• თანამშრომლობა შესაბამის უწყებებთან;	2021-2023
	• ამოცანების შესრულება კონკრეტული აქტივობებით;	2021-2023
	• საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება საჭიროებისამებრ.	2021-2023

ევროდირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ევროდირექტივას შორის განსხვავებების დეტალური ანალიზის მომზადება და აღნიშნული ანალიზის საფუძველზე და შესაბამისობის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

შესაბამისობის სამოქმედო გეგმა შეთანხმდება დაინტერესებულ მხარეებთან (ოფიციალურ უწყებებთან), განისაზღვრება გეგმის შესრულებისთვის საჭირო აქტივობები და გაიწერება ვადები. გეგმის ფარგლებში ჩატარდება კონკრეტული სამუშაოები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა სამართლებრივი აქტები.

იმ შემთხვევაში, თუ დირექტივით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების ვადა ხანგრძლივდება, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამის გარემოებათა შესახებ არგუმენტირებულად ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და შედგეს საჭირო კომუნიკაცია ევროპულ პარტნიორებთან.

### მიზანი 3: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მიერ ძირითადი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისათვის, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება, ნდობის მოპოვება და შენარჩუნება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან ძალისხმევას დებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, ისე დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაცია, განსაზღვრავენ საზოგადოებასთან



ურთიერთობის ძირითად სტანდარტებს. ასოციაციას შემუშავებული აქვს 2 სახელმძღვანელო დოკუმენტი<sup>2</sup>, რომელთა თანახმად, დეპოზიტების დამზღვევა უნდა უზრუნველყოს სისტემის შესახებ საზოგადოების მუდმივი ინფორმირება და აღნიშნული გაითვალისწინოს როგორც სამოქმედო პროგრამის, ისე ბიუჯეტის დაგეგმვისას.

## არსებული ვითარება

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ, დაარსებიდან მოკლე ვადაში შეიმუშავა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია. სააგენტოს ვებ-გვერდი 2018 წელს ამოქმედდა. სტრატეგიის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სარეკლამო კამპანია - დამზადდა და სატელევიზიო ეთერებში განთავსდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საინფორმაციო ვიდეო-რგოლი; დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსმა მონაწილეობა მიიღო შესაბამისი პროფილის გადაცემებში; სისტემის შესახებ სიახლეები ვრცელდება სააგენტოს ვებ-გვერდის, სოციალური მედიის, ასევე საინფორმაციო პორტალების საშუალებით.

შემუშავდა და დამტკიცდა „კომერციული ბანკების მიერ მოქმედი და პოტენციური კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქცია“. ინსტრუქცია სისტემის წევრ კომერციულ ბანკებს ავალდებულებს კლიენტებს მიაწოდონ ბროშურები დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ. ბროშურის როგორც დიზაინი, ისე შინაარსი, შემუშავდა სააგენტოს მიერ. მასში დატანილია მთავარი ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურების პროცედურის შესახებ. სააგენტო პერიოდულად აახლებს ბროშურის შინაარსს. ბანკებს ასევე ევალებათ განათავსონ ბანერები ფილიალებსა და წარმომადგენლობებში და უზრუნველყონ მოქმედი და პოტენციური კლიენტებისთვის განმარტების მიცემა სისტემის შესახებ.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს კვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშებს, საინვესტიციო პოლიტიკას და გეგმას, ბიუჯეტს და მიმდინარე სტატისტიკას.

## ამოცანები და აქტივობები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების მიზნით, გამოვლინდა შემდეგი ორი ამოცანა:

- 1) დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება 10%-ით;

<sup>2</sup> საზოგადოებრივი ცნობადობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემებზე, 2009 - [http://www.iadi.org/docs/Public%20Awareness%20Final%20Guidance%20Paper%206\\_May\\_2009.pdf](http://www.iadi.org/docs/Public%20Awareness%20Final%20Guidance%20Paper%206_May_2009.pdf);

ეფექტური დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გაძლიერებული სახელმძღვანელო – საზოგადოებრივი ცნობადობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემებზე, 2012 - [http://www.iadi.org/docs/IADI-Public\\_Awareness\\_Enhanced\\_Guidance\\_Paper.pdf](http://www.iadi.org/docs/IADI-Public_Awareness_Enhanced_Guidance_Paper.pdf).

2) საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების სამოქმედო გეგმის შესრულება.

მიზანი 3: საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ

ამოცანები	აქტივობები	ვადა
დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება 10%-ით	• საზოგადოებრივი გამოკითხვის ჩატარება;	2020
	• გამოკითხვის შედეგების ანალიზი;	2020
	• სამოქმედო გეგმის მომზადება;	2020
	• განმეორებითი საზოგადოებრივი კვლევის ჩატარება.	2023
საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების სამოქმედო გეგმის შესრულება	• სამოქმედო გეგმის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა;	2021
	• საჭირო აქტივობების გეგმის ჩამოყალიბება;	2021
	• მიზნობრივი ჯგუფების დადგენა;	2021-2023
	• აქტივობების გეგმის შესრულება.	2021-2023

სააგენტო პირველ ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობების შედეგების შესაფასებლად, სტრატეგიული გეგმის დასრულების შემდეგ ჩატარებს საზოგადოებრივ გამოკითხვას (კვლევას). პირველი საზოგადოებრივი გამოკითხვის მიზანია ცნობადობის დონის შეფასება როგორც მთელ საზოგადოებაში, ასევე მიზნობრივ ჯგუფში. ასევე, კვლევა მოგვცემს საშუალებას სწორად შეირჩეს საზოგადოებასთან საკომუნიკაციო ძირითადი მესიჯები.

პირველი კვლევის შედეგების საფუძველზე, სააგენტო შეიმუშავებს შესაბამის გეგმას, რომლის მიზანი საზოგადოებრივი ცნობადობის 10%-ით ამაღლება იქნება. გატარებული საქმიანობების ეფექტურობის შესაფასებლად განმეორებითი კვლევა სამი წლის თავზე უნდა ჩატარდეს.

#### მიზანი 4: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება

ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანური ფაქტორი. კვალიფიციურ და კომპეტენტურ პერსონალს განსაკუთრებული როლი აქვს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. ადამიანური რესურსი კიდევ უფრო აქტუალური ხდება,

როდესაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია პატარა და თანამშრომელთა რაოდენობა მცირეა.

დეპოზიტების დაზღვევის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ კონფერენციებსა და სემინარებზე. დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება.

დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაცია (IADI) ახალი წევრებისთვის, მათი ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და კონფერენციებს.

## არსებული ვითარება

საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა უწყებაა, რომელიც 2017 წლის მეორე ნახევარში დაარსდა.

სააგენტომ დაარსებიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციებში, რომელსაც ესწრებიან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. სააგენტომ ასევე მონაწილეობა მიიღო დეპოზიტების დაზღვევის ევროპულ ფორუმზე (EFDI). მსგავსი ღონისძიებები სააგენტოსთვის წარმოადგენს ცოდნის და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საშუალებას. ამავდროულად მიზნით დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის დეპოზიტების დაზღვევის ფონდში (ADIF).

ამ დრომდე სააგენტოს არ აქვს ჩამოყალიბებული ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაცვლის ოფიციალური პლატფორმა და არ აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვა სააგენტოებთან.

## ამოცანები და აქტივობები

საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერების მიზნით, განისაზღვრა შემდეგი 2 ამოცანა:

- 1) დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის პარტნიორობა;
- 2) საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

მიზანი 4: დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება

ამოცანები	აქტივობები	ვადა
დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის პარტნიორობა	<ul style="list-style-type: none"> <li>დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციასთან პარტნიორობის ფორმალიზება;</li> <li>პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობა.</li> </ul>	2020 2020-2023
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	<ul style="list-style-type: none"> <li>მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება რეგიონში;</li> <li>სტრატეგიულად მნიშვნელოვან საერთაშორისო პარტნიორებთან მემორანდუმის გაფორმება.</li> </ul>	2020-2023 2020-2023

დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციასთან პარტნიორობას მოაქვს ისეთი სარგებელი, როგორცაა შესაბამის დარგობრივ კომიტეტების მუშაობაში აქტიური ჩართულობა, პოლიტიკის/კვლევების დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობის მიღება, სფეროში არსებულ უახლოეს ტენდენციებთან მუდმივი წვდომა და შესაბამისი გამოცდილების მიღება. ამასთან, გრძელვადიან პერსპექტივაში და მანდატის გაფართოების შემთხვევაში, სააგენტო განიხილავს ასოციაციის სრული წევრობის საკითხს.

სააგენტო გეგმავს თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონში, გაფორმდება მემორანდუმები სტრატეგიულად მნიშვნელოვან საერთაშორისო პარტნიორებთან.